ტერორიზმისა და სხვა საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა რწმენის, გამოხატვის და გაერთიანების თავისუფლების მართლზომიერი შეზღუდვის ფარგლებში

2021

დოკუმენტი მომზადებულია ლიბერალური აკადემია თბილისისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, ნიდერლანდების სამეფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. დოკუმენტში მოყვანილ ინფორმაციასა და მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ლიბერალური აკადემია თბილისი, და ის შეიძლება არ ასახავდეს დონორის პოზიციას.

დღესდღეობით ტერორიზმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო გამოწვევაა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან ბრძოლა მრავალი სახელმწიფოს უპირობო პრიორიტეტია. ამ კუთხით არც საქართველოა გამონაკლისი. თანამედროვე სამყაროში ამ სფეროში ეფექტიანი და, ამავდროულად, საერთაშორისო ნორმებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი კანონმდებლობის ქონა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მათ შორის საქართველოსთვის, რომელიც გეოპოლიტიკურად რთულ და რისკებით აღსავსე რეგიონში მდებარეობს. ეს არ არის ადვილი ამოცანა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ზომები ხშირად უშუალო კონფრონტაციაში მოდის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან. ამ წინააღმდეგობების დაძლევაზე დემოკრატიულ სამყაროში მუშაობა დიდი ხნის წინაა დაწყებული და სერიოზული ნაბიჯებიც არის გადადგმული, რაც, მიგვაჩნია, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საქართველოს კანონმდებლობაში. ეს ნაშრომი სწორედ ამ მიმართულებით გაწეულ ძალისხმევას წარმოადგენს.რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება, ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან ერთად, დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ფასეულობებს წარმოადგენს. ტერორიზმი კი თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხეა, რომელიც, პირველ რიგში, ძირს უთხრის სწორედ დემოკრატიულ საზოგადოებას, მის ღირებულებებს, მშვიდობას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ტერორისტულ აქტებს, ინდივიდები თუ ჯგუფები, ხშირად სწორედ სარწმუნოების სახელით სჩადიან, ტერორისტული ქსელები ხშირად რელიგიური სიმბოლოებისა და ინფრასტრუქტურის საფარველქვეშ მოქმედებენ, ხოლო დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამღუპველ იდეებს სწორედ გამოხატვის თავისუფლების აღიარებული მექანიზმების, მათ შორის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტისა და თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ავრცელებენ.

ბუნებრივად ისმის შეკითხვა, რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ ასეთ ვითარებაში. აქვს თუ არა მას ლეგიტიმური უფლებამოსილება, მიიღოს თავისი ეროვნული ინტერესებისათვის, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობისთვის საზიანო მოვლენების გამანეიტრალებელი ზომები იმ პირობებში, როდესაც ეს საფრთხის შემცველი მოვლენები რელიგიის და გამოხატვის თავისუფლების საბურველქვეშ ხორციელდება; მიზანშეწონილია თუ არა რაიმე შემზღუდველი ზომების გამოყენება იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებს და ამ მოვლენების უკან, შესაძლოა, იდგნენ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში მოქმედი ძალები.

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებები საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართალში

საქართველოში რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ისევე, როგორც გამოხატვის თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება გარანტირებულია ქვეყნის

კონსტიტუციით.[1] ამასთან, არც რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, არც გამოხატვის თავისუფლება და არც გაერთიანების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტისა[2]და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის[3] თანახმად, რწმენის და გამოხატვის თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად სახეზეა შემდეგი სამი პირობა: ა) შეზღუდვა შეესაბამება კანონს, ანუ გათვალისწინებულია კანონით; ბ) შეზღუდვა ემსახურება გარკვეულ ლეგიტიმურ მიზანს, როგორიცაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის ან/და სხვათა უფლებების დაცვა, სხვ.; გ) შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაერთიანება შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.[4]

ზემოაღნიშნული უფლებები და თავისუფლებები საქართველოში ასევე დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში უშუალოდ მოქმედი სამართალია.[5]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი განამტკიცებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას,[6] მე-19 მუხლი - გამოხატვის თავისუფლებას,[7] ხოლო, 22-ე მუხლი - სხვებთან ასოციაციის უფლებას.[8] გარკვეული პირობების შემთხვევაში აღნიშნული უფლებები შეზღუდვას ექვემდებარება.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.[10] გამოხატვის, აგრეთვე შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებები უზრუნველყოფილია კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების პირველი პუნქტებით.[11]

ევროპული კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტები ადგენს ზემოაღნიშნული უფლებების შეზღუდვის სავალდებულო პირობებს - ე.წ. „სამწვეროვან ტესტს“. კერძოდ, შეზღუდვა: ა) გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით; ბ) უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებს; გ) უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.[12]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-17 და 22-ე მუხლების პირველი პუნქტები.
[2] საქართველოს კონსტიტუცია, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.
[3] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.
[4] საქართველოს კონსტიტუცია, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[5] საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.
[6] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.
[7] იქვე, მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
[8] იქვე, 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[9] იქვე, მე-18 მუხლის მე-3, მე-19 მუხლის მე-3 და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტები.
[10] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.
[11] იქვე, მე-10 და მე-11 მუხლების პირველი პუნქტები.
[12] იქვე, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტები.

ევროპულ სასამართლოს ძალზე მდიდარი პრაქტიკა გააჩნია. გამოვყოფთ სტრასბურგის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც შეხება აქვს განსახილველ პრობლემასთან - აღნიშნული თავისუფლებების შეზღუდვასთან ტერორიზმთან და სხვა ძალადობრივ დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საქმე ეხება ტერორიზმის საფრთხეს, ისევე, როგორც ნებისმიერ საფრთხეს, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს პრევენციული ზომები, რათა ასეთი საფრთხე განეიტრალდეს.[13]

ერთ-ერთ საქმეში თურქეთის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა ეთნიკური ქურთი პოეტის საჩივარი, რომელიც თურქეთის სასამართლოებმა დამნაშავედ სცნეს „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“ თურქეთის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების თანახმად, თავის პოეტურ თხზულებებში მომჩივანი სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას ეწეოდა.[14] ევროპული სასამართლო დაეთანხმა თურქეთის მხარეს, რომ პოეტის ლექსების ტონი ძალზე აგრესიული იყო თურქეთის ხელისუფლების მიმართ და გარკვეული ადგილები შესაძლებელია სიძულვილის, ამბოხისა და ძალადობისადმი წამქეზებლურ მოწოდებებად მიჩნეულიყო.[15] ევროპული სასამართლოს სტანდარტებით, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ფართოა იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ძალადობისკენ წაქეზებას.[16] ამის მიუხედავად, აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთის სახელმწიფოს მიერ პოეტის მიმართ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ზომები არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და, აქედან გამომდინარე, თურქეთმა დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი გამოხატვის თავისუფლება.[17]

მეორე მხრივ, ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად სცნო დენი ლერუას საჩივარი საფრანგეთის წინააღმდეგ, რომლითაც მომჩივანი მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციის მე-9 და მე-10 მუხლების დარღვევას უჩიოდა. საფრანგეთის სასამართლომ ლერუა, პროფესიით კარიკატურისტი, ტერორიზმის აპოლოგიის გამო გაასამართლა.[18] 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული აქტების ჩადენის დღეს, ლერუამ ერთ-ერთ ბასკურ ყოველკვირეულ გამოცემაში გამოაქვეყნა გრაფიკული ჩანახატი, რომელზეც გამოსახული იყო თვითმფრინავების შეჯახების შედეგად ნგრევის პროცესში მყოფი ცათამბჯენები, რომლებსაც ქვემოთ მიწერილი ჰქონდა სიტყვები: „ჩვენ ყველა ამაზე ვოცნებობდით... ჰამასმა ეს გააკეთა.“[19]საფრანგეთის სასამართლოებმა მომჩივანი და ჟურნალის რედაქტორი დამნაშავედ სცნეს ტერორიზმის აპოლოგიის ჩადენაში.[20] ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ფრანგული სასამართლოების შეფასება, რომ სადავო ჩანახატზე გაკეთებული წარწერა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების იდეალიზაციას წარმოადგენდა, რაც პოტენციურ მკითხველს, თუნდაც ირიბად,

[13] Tagayeva and Others v. Russia, no. 26562/07, 13 April 2017, § 482.
[14] იქვე, § 10.
[15] იქვე, § 49.
[16] იქვე, § 50.
[17] იქვე, § 54.
[18] Leroy c. France, nº 36109/03, 2 octobre 2008, § 3.
[19] იქვე, § 6.
[20] იქვე, §§ 11-12, 14 და 17.

დანაშაულის ჩადენისკენ აქეზებდა.[21] სასამართლოს თქმით, წარწერაში გამოყენებული ტერმინებით ავტორი მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა ტერორისტული აქტების ჩამდენ პირებს და ამართლებდა ათასობით უდანაშაულო ადამიანის მიმართ ჩადენილ ძალადობას.[22] სასამართლომ ასევე უარყო მომჩივნის მითითება, რომ მის გამოხატვას არ მოჰყოლია კონკრეტული შედეგები. ევროპული სასამართლო დაეთანხმა ფრანგული სასამართლოების განმარტებებს, რომ წამქეზებლური მოწოდების შემადგენლობას არ სჭირდება კონკრეტული შედეგი იმისათვის, რომ ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს.[23]

ამ კონტექსტში საინტერესო განმარტებები გააკეთა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთ თურქულ საქმეში, სადაც მომჩივნებს სს პასუხისმგებლობა თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეულ ქურთისტანის მუშათა პარტიის სამი მოკლული წევრის რელიგიურ-მემორიალურ რიტუალში მონაწილეობის გამო დაეკისრათ. თურქეთის სასამართლოების განმარტებით, მომჩივნების მხრიდან ამგვარ რიტუალზე დასწრება ტერორისტული ორგანიზაციის პროპაგანდას წარმოადგენდა, რადგან ცერემონია პოლიტიკური პარტიის ოფისში გაიმართა, სადაც გამოფენილი იყო ქურთისტანის მუშათა პარტიის სიმბოლიკა და მისი წევრების ფოტოები.[24] ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ტერორისტულ ორგანიზაციასთან იდენტიფიცირების გარკვეული ფორმები და, განსაკუთრებით, ასეთი ორგანიზაციის აპოლოგია შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტერორიზმის მხარდაჭერად, ძალადობისა და სიძულვილის წაქეზებად. გარდა ამისა, ტერორისტული აქტების ჩამდენ პირთა განდიდება, თავდასხმის მსხვერპლთა დამნაშავედ წარმოჩენა, ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერისკენ მოწოდება და სხვა ამგვარი ქმედებები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ტერორიზმის და ძალადობის მხარდაჭერა.[25] სხვა საკითხია, რომ მოცემულ საქმეში თურქულმა მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ სწორედ მომჩივნები იყვნენ პასუხისმგებელნი ცერემონიის ადგილის შერჩევის ან პარტიის სიმბოლიკის გამოფენისათვის.[26]

გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც რწმენის, გამოხატვის ან გაერთიანების თავისუფლებით, ან კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უფლებით სარგებლობას ამ უფლებათა და თავისუფლებათა ბოროტად გამოყენების ხასიათი აქვს, ევროპული სასამართლო განიხილავს არა იმ საკითხს, თუ რამდენად გამართლებული იყო სახელმწიფოს ჩარევა ამ უფლებებში და თავისუფლებებში, არამედ საკითხს, საერთოდ ექვემდებარება თუ არა კონვენციით დაცვას ქმედება, რომელსაც მომჩივანი, მოცემულ შემთხვევაში, რწმენის, გამოხატვის ან გაერთიანების თავისუფლებას არქმევს. ასეთ შემთხვევაში ევროპული სასამართლო ამოწმებს, რამდენად აქვს ადგილი კონვენციის მე-17 მუხლით („უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა“) გათვალისწინებულ პირობებს.[27]

ერთ საქმეში, რომელშიც დანიურ სატელევიზიო არხს მაუწყებლობის ლიცენზია ჩამოერთვა და ჯარიმა დაეკისრა იმის გამო, რომ იგი თურქეთში ტერორისტულ

[21] იქვე, § 42.
[22] იქვე, § 43.
[23] იქვე, § 43.
[24] Güler et Uğur c. Turquie, nos 31706/10 et 33088/10, 2 décembre 2014, §§ 9-13.
[25] იქვე, § 52.
[26] იქვე, §§ 55-57.
[27] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-17 მუხლი.

ორგანიზაციად გამოცხადებული ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტული საქმიანობის პროპაგანდას ეწეოდა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეს არხი, კონვენციის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, არ იმყოფებოდა კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ, რადგან ამ არხით გამუდმებით გადაიცემოდა ცალმხრივად გაშუქებული რეპორტაჟები აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, რომლებიც შეიცავდა მოწოდებებს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და პარტიზანულ ჯგუფებში გაწევრიანებისკენ, ხოლო თავად პარტიზანი მებრძოლები გმირებად იყვნენ გამოყვანილნი. ევროპული სასამართლოს თქმით, ეს იყო ტერორისტული ორგანიზაციის პროპაგანდა და არა უბრალოდ თანაგრძნობის გამოხატვა გარკვეული იდეების მიმართ.[28]

სხვა საქმეში, რომელშიც ორგანიზაცია „ჰიზბ უტ-ტაჰრირი“ გერმანიას ამ ქვეყანაში მისი საქმიანობის აკრძალვის გამო უჩიოდა, ევროპულმა სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო - აღნიშნული ორგანიზაცია ვერ ისარგებლებდა კონვენციის მე-9, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით, რადგან მის მიერ გავრცელებული მასალები - საგაზეთო სტატიები, ბუკლეტები და სხვ. - შეიცავდა გამუდმებულ განცხადებებს, რომ ისრაელის სახელმწიფოს არა აქვს არსებობის უფლება, რომ ეს სახელმწიფო უნდა მოისპოს და მისი მოსახლეობა უნდა განადგურდეს. სასამართლოს თქმით, ასეთი განცხადებები ეწინააღმდეგება კონვენციის ღირებულებებს, მათ შორის, საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისა და ადამიანის სიცოცხლის უზენაესობის პრინციპებს.[29]

კონვენციის პრინციპებთან შეუსაბამოა და ამიტომ კონვენციის დაცვით ვერ ისარგებლებს ისეთი შინაარსის განცხადებები, რომლებიც შეიცავს ჰოლოკოსტის უარყოფას, ნეონაცისტურ იდეოლოგიას, ყველა მუსლიმის ტერორიზმთან გაიგივებას, რუსეთში ებრაელთა ყველა სახის ბოროტებაში დადანაშაულებას;[30] აგრეთვე, ქსენოფობიას, რასიზმსა და სიძულვილის ენას.[31] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ასევე შეუსაბამოა კონვენციის ღირებულებებთან და დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებთან შარიათის სამართალი, რადგან მასში არ მოძიებნება ადგილი პოლიტიკური პლურალიზმისა და სამოქალაქო თავისუფლებებათა მუდმივი ევოლუციისათვის.[32]კონვენციის ფუნდამენტური ღირებულებებისათვის შეუსაბამოდ მიიჩნევა სტატიები, რომლებიც შეიცავს ღია მოწოდებებს შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტისაკენ, პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და ამ კლასის სხვა კლასებზე გაბატონებისაკენ, ქვეყნის ტერიტორიის თანდადათობით დანაწევრებისკენ.[33]

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ტერორიზმის წინააღმდეგ

ტერორიზმი გლობალურ საფრთხედ 1990-იანი წლების დასაწყისში იქნა აღიარებული. თუმცა, გაეროს დონეზე მუშაობა მანამდეც მიმდინარეობდა ე.წ. „სექტორული მიდგომის“ ფარგლებში.[34]

---

[28] Roj TV A/S v. Denmark, no. 24683/14, 17 April 2018, §§ 46-48.
[29] Hizb Ut-Tahrir and other v. Germany, no. 31098/08, 12 June 2012, §§ 73-74, 78, 86.
[30] Delfi AS v. Estonia, no. 64569/09, [GC], 16 June 2015. § 136.
[31] R.L. v. Switzerland, no. 43874/98, 25 November 2003; Molnar c. la Roumanie, no 16637/06, 23 octobre 2012.
[32] Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey [GC], nos. 41340/98, 41342/98, 41343/98 and 41344/98, 13 February 2003, § 123.
[33] Romanov v. Ukraine, no. 63782/11, 16 July 2020, §§ 163, 166.
[34] Rohan Perera, Declaration on Measures to Eliminate International Terrorism, 1994, and the 1996 Supplementary Declaration thereto, https://legal.un.org/avl/pdf/ha/dot/dot_e.pdf.

1990-იანი წლების დასაწყისი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ტერორისტული აქტების მომძლავრებით აღინიშნა. ამ პერიოდიდან დაიწყო ტერორისტული და სხვა სახის დანაშაულებრივი ჯგუფების საერთაშორისო ქსელების შექმნა, რომელთა დაფინანსების წყაროდ იქცა ისეთი ტრანსნაციონალური დანაშაული, როგორიცაა ნარკოტიკებით, ადამიანით და იარაღით ვაჭრობა, ფულის გათეთრება, ბირთვული და სხვა საშიში მასალების გავრცელება და სხვ. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ ეტაპზე აყვანა მოითხოვა. 1999 წლის 9 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.[35]

ტერორიზმის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ფორმას ბირთვული ტერორიზმი წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1968 წელს ხელმოწერილ იქნა, ხოლო 1970 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო ხელშეკრულება „ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ“.[36] 2005 წლის 13 აპრილს მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აქტებთან ბრძოლის შესახებ“.[37]

თუმცა, გაეროს გააქტიურება მხოლოდ კონვენციების მიღებით არ შემოიფარგლა. ტერორიზმის წინააღმდეგ საქმიანობა გააქტიურა გაეროს უშიშრობის საბჭომ, ორგანომ, რომელსაც გააჩნია უპირველესი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე.[38] 1999 წლის 19 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია N 1269 (1999), რომლის პრეამბულის პირველივე აბზაცში განცხადებულ იქნა, რომ საერთაშორისო ტერორისტული აქტების ზრდა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების კეთილდღეობას, არამედ ყველა სახელმწიფოს მშვიდობასა და უსაფრთხოებას.[39]

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა ტერორიზმთან ბრძოლის ინტენსიფიკაციის საჭიროება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. უკვე 2001 წლის 12 სექტემბერს, ე.ი. აშშ-ში განხორციელებული თავდასხმებიდან მეორე დღეს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია N 1368 (2001).[40]2001 წლის 28 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო N 1373 (2001) რეზოლუცია, რომელიც გახდა ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი გზამკვლევი თანამედროვე მსოფლიოში.[41] 2005 წლის 14 სექტემბრის N 1624 (2005) რეზოლუციის პრეამბულაში უშიშროების საბჭომ, სხვა საკითხებთან ერთად, გადაჭრით დაგმო ტერორისტული აქტების წაქეზება, აგრეთვე მათი გამართლების ან განდიდების (აპოლოგიის) მცდელობა, რაც, შესაძლოა, შემდგომი ტერორისტული აქტების ჩადენისკენ წაქეზებას გულისხმობდეს.[42]

ევროპის რეგიონალურ დონეზე ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია „ტერორიზმის პრევენციის

---

[35] International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism, adopted by the General Assembly of the United Nations in Resolution 54/109 of 9 December 1999.
[36] Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons.
[37] International Convention for the Suppression of Acts of Nuclear Terrorism, Article 1(1).
[38] UN Charter, Article 24(1).
[39] UNSC Resolution 1269 (1999).
[40] UNSC Resolution 1368 (2001), 12 September 2001, §§ 3-4.
[41] UNSC Resolution 1373 (2001), 28 September 2001.
[42] UNSC Resolution 1624 (2005), 14 September 2005, პრეამბულის მეხუთე აბზაცი.

შესახებ“,[43] აგრეთვე, „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 2015 წლის დამატებითი ოქმი.[44]

„ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ კონვენციით კრიმინალიზებულ იქნა „ტერორისტული დანაშაულის ჩადენის საჯარო პროვოკაცია”, რომელიც განმარტებულ იქნა, როგორც ტერორისტული დანაშაულის წამქეზებლური მესიჯის განზრახ გავრცელება საზოგადოებაში, როდესაც ამგვარი ქმედება, განურჩევლად იმისა, შეიცავს თუ არა ის ტერორისტული დანაშაულის პირდაპირ ადვოკატირებას, ქმნის ერთი ან მეტი ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს.[45] კონვენციაში საგანგებოდ იქნა მითითებული, რომ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის არ არის აუცილებელი, რომ ტერორისტული აქტი რეალურად იქნეს ჩადენილი.[46]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელმოწერილი აქვს, მაგრამ არა აქვს რატიფიცირებული „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ კონვენცია[47], ხოლო მისი დამატებითი ოქმი არც ხელმოწერილი აქვს და, ცხადია, არც რატიფიცირებული.[48]

გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები ირანის მიმართ და აშშ-ის მიერ მიღებული ზომები

2006 წლის 23 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო N 1737 (2006) რეზოლუცია, რომლითაც სანქციები დაუწესა ირანს მისი ბირთვული პროგრამის გამო.[49] უშიშროების საბჭომ აღნიშნულ რეზოლუციას თან დაურთო იმ პირების და ორგანიზაციების სია, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ირანის ბირთვულ ან/და ბალისტიკურ-სარაკეტო პროგრამებთან.[50]

2007 წლის 24 მარტს უშიშროების საბჭომ, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია N 1747 (2007), რომლითაც მხარი დაუჭირა თავის გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეტანილ იქნა N 1737 (2006) რეზოლუციაში.[51] სხვა საკითხებთან ერთად, ეს რეზოლუცია აღსანიშნავია იმით, რომ თავის დანართში N1 იგი ასახელებს დამატებით პირებს და ორგანიზაციებს, რომლებიც, ირანის ბირთვულ და ბალისტიკურ-სარაკეტო პროგრამებთან კავშირის გამო გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების ქვეშ მოექცნენ. ასეთ პირებს შორის დასახელებულია ბრიგადის გენერალი ყასემ სოლეიმანი.[52]

გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების აღმასრულებელი მექანიზმი საქართველოში

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის თანახმად საქართველოში შექმნილია სამთავრობო

---

[43] Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism, ETS No. 196.
[44] Additional Protocol to the Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism, ETS No. 217.
[45] Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism, Article 5(1).
[46] Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism, Article 8.
[47] https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/196?module=signatures-by-treaty&treatynum=196 .
[48] https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/196?module=signatures-by-treaty&treatynum=217 .
[49] UNSC Resolution 1737 (2006), 23 December 2006.
[50] UNSC Resolution 1737 (2006), 23 December 2006, Annex.
[51] UNSC Resolution 1747 (2007), 24 March 2007.
[52] UNSC Resolution 1747 (2007), 24 March 2007, Annex 1, ‘Iranian Revolutionary Guard Corps ker persons’, No. 6: Brigadier General Qasem Soleimani (Commander of Qods force).

კომისია, რომელიც არის მთავარი საკონტაქტო ორგანო გაეროს სანქციების კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და სანქციების აღსრულების საკითხებში.[53]

კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 დეკემბრის N487 დადგენილებით და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. აღნიშნული დადგენილების თანახმად, სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს იუსტიციის მინისტრი[54], ხოლო იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი ახორციელებს კომისიის ტექნიკურ უზრუნველყოფას.[55]

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ ტერორიზმის და სხვა ძალადობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სახელმწიფოს მოვალეობაა არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობიდან და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ საერთაშორისო სამართლიდან და გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარეც. ტერორისტული გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანაც. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან მეტ შესაბამისობაში მოყვანა, რათა მაქსიმალურად დავიწროვდეს სივრცე ქვეყნის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის თუნდაც პოტენციური საფრთხის მატარებელი ძალებისთვის. რისი გაკეთება შეიძლება ასეთ ვითრებაში?

1. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კანონმდებლობის სრულყოფა. ჩვენ უკვე გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც ძლიერ სამართლებრივ საფუძველს ქმნის ტერორისტულ და სხვა მსგავს გამოწვევებთან საბრძოლველად. მაგრამ არსებობს გარკვეული რეზერვები მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კერძოდ:

ა) ყოველგვარი შემდგომი დაყოვნების გარეშე უნდა მოხდეს „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია, აგრეთვე მისი დამატებითი ოქმის ხელმოწერა და რატიფიკაცია;

ბ) ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ზომების შედეგად ან თუნდაც ამგვარის გარეშე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330[1] მუხლში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- პირველი ნაწილის დისპოზიციას უნდა დაემატოს სიტყვები „გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებული პირის“, რათა დანაშაული

[53] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

[54] „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №487 დადგენილება, მუხლი 1.

[55] „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

გავრცელდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებულ პირზეც, რომელიც კონკრეტულად ტერორიზმში შეიძლება მხილებული არ იყოს, მაგრამ თვითონ სანქცირების ფაქტიდან გამოდმინარე, საფრთხეს უქმნიდეს საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას;

- პირველი ნაწილის დისპოზიციას ასევე უნდა დაემატოს სიტყვები „განდიდება ან თაყვანისცემა“, რაც მოიცავს ტერორიზმის აპოლოგიას, როგორც საერო ხასიათის გამონათქვამებში, ისე რელიგიური რიტუალებში;
- პირველი ნაწილის დისპოზიციას ასევე უნდა დაემატოს სიტყვები „პირდაპირ ან არაპირდაპირ“, რათა ტერორროზმის განდიდება, თაყვანისცემა, მხარდაჭერა და ტერორიზმისკენ მოწოდება შეიცავდეს ისეთ გამონათქვამებსაც, რომლებშიც იდეა ირიბად არის გადმოცემული, რაც საშუალებას წაართმევს ავტორს, აირიდოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ საბაბით, რომ მესიჯი პირდაპირ არ იყო გამოხატული;
- პირველი და მე-2 ნაწილებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „თუ ეს ქმნის ტერორისტული საქმიანობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“, რადგან ტერორიზმი თავისთავად შეიცავს საზოგადოებისთვის მოსალოდნელ საფრთხეს. ტერორისტებს და მათ აპოლოგეტებს არ უნდა მიეცეთ საშუალება, განადიდონ ტერორიზმი, თაყვანი სცენ ტერორისტებს, ან საჯაროდ მოუწოდონ ტერორიზმისკენ და, ამასთანავე, პასუხისმგებლობას გაექცნენ იმ საბაბით, რომ საფრთხე არ იყო „აშკარა, პირდაპირი და არსებითი“; ასეთი დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს შედეგის მიუხედავად;
- შესაბამისი ცვლილებები უნდა აისახოს მუხლის სათაურშიც;

გ) გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დაემატოს მუხლი, რომლითაც დანაშაულად გამოცხადდება ტერორიზმის მიზნით საზღვარგარეთ მგზავრობა, საზღვარგარეთ მგზავრობის დაფინანსება და საზღვარგარეთ მგზავრობის ორგანიზება ან სხვაგვარად ხელშეწყობა, როგორც ამას ითვალისწინებს „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს დამატებითი ოქმი.

2. უნდა გააქტიურდეს გაეროს სანქციების კომიტეტთან ურთიერთობის სამთავრობო კომისიის მუშაობა, როგორც საქმიანობის ინტენსიფიკაციის, ისე საჯაროობის კუთხით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ზემოხსენებული კომისიის შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა მოთავსებული.[56] ამასთანავე, არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია კომისიის საქმიანობის შესახებ. საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს კომისიის გადაწყვეტილებები, რათა საზოგადოება დარწმუნდეს იმაში, რომ კომისიაც და მასში შემავალი უწყებებიც კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებს ჯეროვნად ასრულებენ.

[56] https://justice.gov.ge/Ministry/Department/305.